საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ბაღჩეული კულტურები

ბაღჩეული კულტურები, გოგრისებრთა ოჯახის ერთწლოვანი კულტურები – გოგრა, საზამთრო, ნესვი.

მხოხავი მცენარეებია, აქვთ გრძელი ღერო (გოგრას – 10, საზამთროს – 5, ნესვს – 3 მ-მდე). გვხვდება როგორც გრძელბარდიანი, ისე მოკლებარდიანი და ბუჩქისებრი ფორმები. სითბოს მოყვარული მცენარეებია. ნორმალური ზრდა-განვითარებისათვის ოპტიმალური ტემპ-რაა 25 – 30°C, დაბალ ტემპ-რაზე (12 – 15°C) ცუდად ვითარდებიან, ხოლო 0°C იღუპებიან.

მოჰყავთ საცხოვრ. ადგილიდან დაშორებულ ნასვენ, ნატყევარ, ყამირ მიწებზე ანდა ბოსტნისა და მინდვრის თესლბრუნვებში. ბ. კ. სასარგებლო, ყუათიანი, სამკურნ. მცენარეებია. საზამთრო და ნესვი დიდი რაოდენობით შეიცავს ნახშირწყლებს, განსაკუთრებით შაქრებს, კერძოდ ფრუქტოზას, რ-იც სიტკბოთი 1,4-ჯერ მეტია საქაროზაზე, 2,2-ჯერ–გლუკოზაზე. გოგრაშიც ბევრია ნახშირწყლები, მაგრამ გლუკოზისა და სახამებლის სახით. ბ. კ-ის თესლი დიდი რაოდენობით შეიცავს ცხიმებსაც (%-ობით): გოგრა – 50, საზამთრო – 35, ნესვი – 30, აგრეთვე ვიტამინებს ძვირფას ზეთს იძლევა საზამთროსა და გოგრის თესლი. მოხალული გოგრის თესლს სამკურნ. თვისებები აქვს – ხელს უწყობს ორგანიზმიდან ნაწლავების პარაზიტი ჭიების გამოძევებას.

საქართველოში ბ. კ-ის მოყვანას უხსოვარი დროიდან მისდევენ. ეს კულტურები შემოტანილია აზიის, აფრ. და ამერ. ტროპ. და სუბტროპ. რეგიონებიდან.

გ. კვაჭაძე